„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების, თსუ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის № 29/2024 დადგენილების,"სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი)აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ", "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის ივლისის N 12/04 ერთობლივი ბრძანებისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 4 აგვისტოს N 19471/30 წერილის, რექტორის 6 აგვისტოს N 177/01-01 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის

ოქმი N3 (შემაჯამებელი)

ქ.თბილისი 16 ოქტომბერი, 2025 წელი, 17.30 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:
სხდომის კომისიის 6 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი (ერთი წევრი საპატიო მიზეზების გამო ვერ ესწრებოდა - ნიკა ჩიტაძე პროფესორი, მოწვეული წევრი).
კომისიის წევრები:
1. კომისიის თავმჯდომარე პროფესორი გუგული მაღრაძე
2. კომისიის თავმჯდომრის მოადგილე პროფესორი რევაზ ჯორბენაძე
3. კომისიის მდივანი ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე
4. კომისიის წევრი ასოცირებული პროფესორი ზურაბ აბაშიძე
5. კომისიის მოწვეული წევრი პროფესორი მარიამ ბანძელაძე (საქართველოს უნივერსიტეტი)

დღის წესრიგი:
1. კონკურსში მონაწილის გამოსავლენად ფარული კენჭისყრის ჩატარება;
2. კომკურსანტის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შეჯამება, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ინტერდისციპლინური მიმართულების ასისტენტ პროფესორის 1 საშტატო

ერთეულის (კატეგორია "ბ") დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შეჯერება და ფარული კენჭისყრის შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯამება.
3. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:
1. ერთ საშტატო ერთეულზე, ერთი კონკურსანტის გამოვლენის მიზნით, ჩატარდა ფარული კენჭისყრა.
კომისიის მდივანმა, ასოცირებულმა პროფესორმა თეონა მატარაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა წინასწარ მომზადებული ბიულეტენები ხელმოსაწერად. ბიულეტენების რაოდენობა იყო 6. კენჭისყრაში გამოყენებული იყო 5 ბიულეტენი, რადგან კენჭისყრას 6 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი. კომისიის მდივანმა წევრებს წარუდგინა ყუთი, რომელიც კომისიის წევრების წინაშე გაიხსნა. კომისიის ყველა წევრმა დაადასტურა ყუთის სიცარიელე. შემდეგ კომისიის წევრებს დაურიგდათ მათ მიერვე ხელმოწერილი ბიულეტენები. ბიულეტენთა რაოდენობა იყო 5. ხმის მიცემის პროცედურის დასრულების შემდეგ, წევრებმა ბიულეტენები მოათავსეს ყუთში. კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომისიამ აირჩია ხმის დამთვლელი ჯგუფი პროფესორ რევაზ ჯორბენაძის და ასოცირებულ პროფესორ ზურაბ აბაშიძის შემადგენლობით. ყუთის გახსნის შმდეგ, მოხდა მიცემული ხმების დათვლა.

კენჭისყრის შედეგების დათვლის შემდეგ გამოვლინდა, რომ:
1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინურ მიმართულებაზე ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ლაშა ტუღუშის გამარჯვებულად გამცხადების მომხრე იყო 5 წევრი, წინააღმდეგი - 0 წევრი.

2. კომისიის მიერ გაანალიზდა და შეჯამდა კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები;
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების ასისტენტ პროფესორის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსის 1 საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა მხოლოდ ერთმა კანდიდატმა - ლაშა ტუღუშმა, (კატეგორია "ბ").
ლაშა ტუღუში - ვაკანტური პოზიცია - ინტერდისციპლინური მიმართულების ასისტენტ პროფესორი.

შეფასების პირველ ეტაპზე,ლაშა ტუღუშმა:
I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს";

II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება;
III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) – 1)ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას- *მაღალი* 2)ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას- *მაღალი*
IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) -ხელს შეუწყობს მიმართულების კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას - *მაღალი*; 2)ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას - *მაღალი.*
ლაშა ტუღუშს აქვს 20 წელზე მეტი პროფესიული და აკადემიური გამოცდილება ჟურნალისტიკის, სამართალმცოდნეობის, პოლიტიკის მეცნიერების სფეროში. მისი საქმიანობა დაკავშირებულია ინტერდისციპლინურ კვლეევებთან, საგანმანათლებლო სფეროსთან და კონფიქტების მართვასთან. არის ლექტორი, მკვლევარი და სხვადასხვა კანონების ინიციატორი. მას კონფლიქტოლოგიის სასწავლო პროგრამაზე შემოტანილი აქვს ინოვაციური კურსები (მაგისტრატურის დონე), მაგალითად "საერთო ეკონომიკური ინტერესები და კონფლიქტის დარეგულირება". წლები იყო გაზეთ "რეზონანსის" რედაქტორი, ასევე თანამშრომლობს სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კანონების ინიცირებუთ, განსაკუთრებით მასმედიასთან დაკავშირებით.
ის ასწავლის შემდეგ კურსებს:
"საერთაშორისო კონფლიქტები"
"ეკონომიკური ფაქტორების როლი კონფლიქტის ტრანსფომაციაში"
"პოპულიზმი და მისი გავლენა თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებზე"
"საჯარო პოლიტიკის ანალიზი"
"პოლიტიკური ჟურნალისტიკა"
"ბეჭდური მედიის მართვა".
ეს საგნები სტუდენტთა ინტერესს იწვევს, ერთი მხრივ თეორიული ცოდნის შეძენის და მეორე მხრივ პრაქტიკის თვალსაზრისით. სწორედ სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზე ლაშა ტუღუშს მომზადებული აქვს ახალი კურსები, რომელსაც მალე დაგეგმავს და წარუდგენს სასწავლო პროგრამებს.
ლაშა ტუღუშის პედაგოგიური საქმიანობა გამოირჩევა ინტერაქციის მეთოდის გამოყენებით სასწავლო კურსის სწავლებისას. ლექციის მსვლელობისას სტუდენტები ერთვებიან განსახილველი საკითხის ანალიზში, ან რომეიმე საკითხის სიმულაციურ პროცესში. ასევე იყენებს როლურ თამაშებს. ის ორიენტირებულია სტუდენტზე და მათგან მიღებულ უკუკავშირს დიდ ყურადღებას აქცევს. შესაბამისად ის ქმნის სტუდენტისთვის ისეთ გარემოს, სადაც სტუდენტის სწავლის მოტივაცია მაღლდება, ჩართულები და მონაწილენი ხდებიან სწავლების პროცესის. ეს ყველაფერი ინტერეს უღრმავებს სტუდენტს, რომ აქტიურად ჩაერთოს ლექორთან ერთად სასწავლო პროცესში.

ლაშა ტუღუში მაგისტრთა სამეცნიერო ნაშრომებს ხელმძღვანელობს, რაც თავისთავად უნივერსიტეტში კვლევითი კულტურის გაძლიერებას ემსახურება და სტუდენტის პროფესიულ ზრდას.
ლაშა ტუღუში ინტერდისციპლინური მიმართულებაზე, განსაკუთრებით კი კონფლიქტოლოგიის პროგრამაზე მნიშვნელოვანი ლექტორია საკუთარი პედაგოგიური გამოცდილებით და მომავალშიაც აპირებს პროგრამას შემატოს ახალი საგნები. მაგალითად: "საქართველოს სამეზობლო და პოლიტიკური კონფლიქტები", "საქართველოს რეგიონები და დაბაბულობის კერები" და სხვა.
ლაშა ტუღუშს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები საქართველოს და საერთაშორისო გამოცემებში, მონაწილეობდა სხვადასხვა კვლევით პროექტებში და ასევე მოპოვებული აქვს სხვადასხვა გრანტები. აქვს მუშაობის გამოცდილება რედაქტორულ საქმიანობაში და ასევე იყო საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურნეო საბჭოს წევრი. მონაწილეა შვიდი დიდი კვლევის და აქვს გამოქვეყნებული 32 სტატია, მათ შორის იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალშც (ერთი). ინტენსიურად მონაწილეობს კონფერენციებში და პროექტებში. 2011 წელს ფულბრაიტის სტიპენდიით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. აწყობს შეხვედრებს და კონფერენციებს. აქტიურადაა ჩართული მედიადებატებში.
კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის განათლება, პედაგოგიური გამოცდილება, სამეცნიერო ინტერესები შეესაბამება დასაკავებელ აკადემიური თანამდებობის ინტერდისციპლინური დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორის მოთხოვნებს. ლაშა ტუღუშის უცხოელ მკვლევარებთან კავშირი მეტყველებს იმაზე, რომ ის ხელს შეუწყობს დარგის (კონფლიქტოლოგია) ინტერნაციონალიზაციას და კვლევებში მიღებული შედეგები ასახული იქნება სასწავლო საგნების სალექციო მასალებში. კომისიის წევრებმა ჩათვალეს, რომ ლაშა ტუღუშის პედაგოგიური, კვლევითი და პრაქტიკული გამოცდილება მნიშვნელოვანია კონფლიქტოლოგიის პროგრამისთვის და საერთოდ ინტერდისციპლინური მიმართულების განვითარებისთვის.

ერთხმად დაადგინეს:
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე (ერთი საშტატო ერთეული - "ბ" კატეგორია) გამარჯვებულად ერთხმად გამოცხადდეს ლაშა ტუღუში. ის იმსახურებს ასისტენტ პროფესორის თანამდებობას, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობით და შემართებით შეასრულებს.

3. შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ ვებ-გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე პროფესორი გუგული მაღრაძე

კომისიის თავმჯდომრის მოადგილე პროფესორი რევაზ ჯორბენაძე

კომისიის მდივანი ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე

კომისიის წევრი ასოცირებული პროფესორი ზურაბ აბაშიძე

კომისიისმოწვეული წევრი პროფესორი მარიამ ბანძელაძე
(საქართველოს უნივერსიტეტი)

კომისიის მოწვეული წევრი პროფესორი ნიკა ჩიტაძე
(შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი)